ბაფის პროფესიული სერტიფიცირების გამოცდები წარმატებით დასრულდა!

ბაფის პროფესიული სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 2020 წლის 18-28 ივლისის განმავლობაში, მისამართზე: ბაქრაძის 6 ა.

ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულ პანდემიის პირობებში სერტიფიცირების გამოცდები მიმდინარეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნების სრული დაცვით.

წინასწარ შემუშავებული და გამოქვეყნებული წესების შესაბამისად, გამოსაცდელ პირთა მიღებისას საგამოცდო ცენტრში უზრუნველყოფილი იყო:

- საგამოცდო სივრცისა და აუდიტორიების სადეზიფენქციო სამუშაოები, გამოსაცდელთა და მეთვალყურეთა დაშვება ხდებოდა მხოლოდ თერმოსკრინინგის ჩატარების შემდეგ.
- კანდიდატთა რეგისტრაციისათვის დარბაზში წინასწარ ადგილების მონიშვნა (უსაფრთხო დისტანციის, მინიმუმ 2 მ-ის დაცვით);
- რეგისტრატორების აღჭურვა სახის დამცავი ფარით და ნიღბით.



შესაბამისი ინფორმაცია მივაწოდეთ პერსონალსა და გამოსაცდელებს, ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, (თვალსაჩინო ადგილას განვათავსეთ უსაფრთხოების დაცვის დასურათებული წესები)

- საგამოცდო ცენტრის შესასვლელში განთავსებული იყო დეზობარიერი, შესაბამისი ნიშნის მითითებით;
- საგამოცდო ცენტრის პერსონალი, მეთვალყურეები და გამოსაცდელები საგამოცდო ცენტრში უზრუნველყოფილი იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

- საგამოცდო სექტორის შესასვლელში განთავსებული იყო დეზინფექციისათვის საჭირო ხელის დასამუშავებელი ხსნარი, სამუშაო ადგილზე პერსონალისათვის, ხოლო გამოსაცდელებისათვის, ყოველი აუდიტორია და მიმდებარე სივრცე, უზრუნველყოფილი იყო დეზინფექციისათვის საჭირო ხელის დასამუშავებელი ხსნარით და მშრალი სალფეთქებით;
- რესპირატორული სინდრომების/ცხელების მქონე გამოსაცდელებისთვის გამოყოფილი გვქონდა სარეზერვო სექტორი;
- ყოველი საგამოცდო სექტორი უზრუნველყოფილი იყო კანდიდატებისათვის ინდივიდუალური სასმელი წყლით;
- ორ ეტაპიანი გამოცდისას, ყოველი ცვლის შემდგომ, გამოიყენებოდა სანიტარიული შესვენება;
- ყოველ საგამოცდო სექტორში დადგმული იყო ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები და იქვე, თვალსაჩინოდ, მითითებული იყო მათი სწორად მოხმარების წესები.

გამოცდები ჩატარდა მშვიდ ვითარებაში და ეფექტურ სამუშაო დროში, გამოცდების მიმდინარეობისას ადგილი არ ჰქონია რაიმე დარღვევას. მიმდინარე წლის 18-28 ივლისის განმავლობაში ჩატარებულ სერტიფიცირების გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 693 კანდიდატმა.

ყოველი საგამოცდო სივრცე ნიავდებოდა ბუნებრივი ჰაერის მეშვეობით, ორგანიზებული
და ტექნიკურად უზრუნველყოფილი იყო თითოეული კანდიდატის საგამოცდდო პირობები.


2020-07-26 11:10:59
auditoria 12


2020-07-25 10:27:56
auditoria 21

გამოცდების შედეგები გამოქვეყნდება 2020 წლის 5 აგვისტოს ბაფის ვებგვერდზე **gfpaa.ge/**განათლება **და სერტიფიცირება/ სერტიფიცირებული პროგრამა/ გამოცდები/შედეგები** მოდულებისა და კანდიდატთა რეგისტრაციის ნომრების მიხედვით.

ბაფის განათლების
კომიტეტი